განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო საქმე

## სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
30.03.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
17.05.2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | სატყეო საქმე |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | სატყეო საქმის დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0821 მეტყევეობა |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ახალი/ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული /საერთაშორისო აკრედიტაცია, შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | პირობით აკრედიტებული<br>26.02.2019წ. No 53 |

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მერაბ მაჭავარიანი, სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ინგა დიასამიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ხაბეიშვილი, სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლაშა ლალიაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

განსახილველ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას ,,სატყეო საქმე“ აკრედიტაციის საბჭომ 2019 წლის 26 თებერვლის №53 გადაწყვეტილების საფუძველზე მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ,,სატყეო საქმე“ შემუშავებულია, რათა უპასუხოს საქართველოში სატყეო სექტორის მდგრადი მართვის მოთხოვნებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე. პროგრამა არის მოთხოვნადი, ვინაიდან ტყეებით ქვეყნის საერთო ტერიტორიის 40%-ია დაფარული და მათი როლი უმნიშვნელოვანესია საქართველოს ეკოოლოგიური სტაბილურობის და ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.

პროგრამის მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაციას წარმოადგენს „სატყეო საქმის დოქტორი“, რაც დადგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/6 ბრძანების შესაბამისად.

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს; მასში იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი საათები. კრედიტების განაწილება მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი). სასწავლო კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად. სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით მომზადებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამის საგნობრივი დატვირთვაში.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ-გვერდზე: https://gtu.gr/Orders/.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილება:

- პოზნანის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (პოზნანი, პოლონეთი) - https://puls.edu.pl/en/
- სატყეო საქმის უნივერსიტეტი (სოფია, ბულგარეთი) - https://ltu.bg/en/
- ევროპის სატყეო ინსტიტუტი - https://efi.int/

**აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 29-30 მარტს ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. სატყეო საქმის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციელისტებთან;
- პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან.

29 მარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო აუდიტორიების, ბიბლიოთეკის და ლაბორატორიების აღჭურვილობის დათვალიერება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და საკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ სატყეო საქმე“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.
პროგრამა აკმაყოფილებს:
აკმაყოფილებს პირველი სტანდარტის მოთხოვნებს, გვაქვს რჩევა.
აკმაყოფილებს მე-2 სტანდარტის მოთხოვნებს, გვაქვს რამოდენიმე რჩევა.
აკმაყოფილებს მე-3 სტანდარტის მოთხოვნებს, გვაქვს რამოდენიმე რჩევა.
აკმაყოფილებს მე-4 სტანდარტის მოთხოვნებს.
აკმაყოფილებს მე-5 სტანდარტის მოთხოვნებს, გვაქვს რჩევა.

პროგრამა  შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან.

**რეკომენდაციები**

არ არის წარმოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სტანდარტი 1.1

- უპირატესობა მიეცეს გამოყენებითი მეცნიერების მიმართულების კვლევებს.

სტანდარტი 2.4

- სასურველია სწავლების პრაქტიკული ნაწილის გაძლიერება.

სტანდარტი 2.5

- სწავლების მეთოდებში დაემატოს სიმულაციური მეთოდი, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად საკმაოდ ეფექტურად ინერგება ევროპის საგანმანათლებლო ინსტიტუციებში.

სტანდარტი 3.1

- ვებ-გვერდზე  განთავსებული იყოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით.

სტანდარტი 3.2

- დოქტორანტებმა დისერტაციის დაცვამდე გამოაქვეყნონ საკვლევ თემასთან დაკავშირებული ერთი სტატია მაინც, საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.

სტანდარტი 5.3

- სასურველია  პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების  გაზიარების და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამების უკეთ დადარებისათვის სასურველია შეფასებაში ჩართული იქნას განვითარებული სატყეო დარგის მქონე ევროპის სხვა ქვეყნების სასწავლო პროგრამებიც.

*ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციაზე*

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 13.05.2021 წლის წერილის შესაბამისად (დაწესებულების წერილის ცენტრში რეგისტრაციის No: 441165) ,,სატყეო საქმის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები სრულიად გაზიარებულია, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფს დამატებითი მოსაზრებები არ გააჩნია.

**ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზებული იქნა აღნიშნულ პროგრამაზე 09.01. 2019 წლის დასკვნის შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები და რამდენად იქნა ისინი გათვალისწინებული განახლებულ სასწავლო პროგრამაში.

უნივერსიტეტში ვიზიტმა, აგრეთვე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პედაგოგიურ კოლექტივთან გასაუბრებამ და წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის და თანმდევი დოკუმენტების გაცნობამ დაადასტურა, რომ 09.01. 2019 წლის დასკვნის შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები სრულადაა გათვალისწინებული და ასახული სასწავლო პროგრამაში.

აღნიშნული დეტალურადაა მოცემული ქვემოთ:

## რეკომენდაცი(ებ)ის გათვალისწინების შესახებ

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
| რეკომენდაცია I | პროგრამაში მკაფიოდ გაიწეროს მიღების წინაპირობები, განმარტებული იქნას ჩანაწერი „ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი“. ბაკალავრის დიპლომი ვერ იქნება დოქტორანტურაში მიღების წინაპირობა. |
| აღწერა და შეფასება | რეკომენდაცია გათვალისწინებულია.<br><br>პროგრამაში დაკორექტირდა მიღების წინაპირობა და მკაფიოდ გაიწერა, რომ: „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის კვალიფიკაციას ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს“. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა “სატყეო საქმე“<br>➢ კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 2004 წელი, მუხლი 49 |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
| რეკომენდაცია II | პროგრამაში მკაფიოდ გაიწეროს რომელი დონის უცხო ენის ცოდნა მოეთხოვებათ და რა ტიპის გამოცდას აბარებენ უცხო ენაში; დაკონკრეტებული უნდა იყოს უცხო ენის რომელი საერთაშორისო სერტიფიკატის (მაგ TOEFL, IELTS, FCE, CAE...) არსებობის შემთხვევაში თავისუფლდება კანდიდატი გამოცდის ჩაბარებისგან. |
| აღწერა და შეფასება | რეკომენდაცია შესრულდა.<br><br>პროგრამაში დაშვების წინაპირობები დაზუსტდა და მკაფიოდ გაიწერა. დაზუსტდა, თუ რომელი დონის უცხო ენის ცოდნა მოეთხოვებათ დოქტურანტურაში ჩაბარების მსურველებს და როგორი სახით ჩატარდება გამოცდა უცხო ენაში. კერძოდ: „პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი. ზემოხსენებული სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტი გამოცდას ჩააბარებს სტუ-ს საგამოცდო ცენტრში, ინგლისურ ენაში. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისურენოვანი (ბაკალავრიატი ან/და მაგისტრატურა) პროგრამა გამოცდის ჩაბარება და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება“. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორებ ი | ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა “სატყეო საქმე“<br>➢ დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები https://gtu.ge/Science/Doctorate_Department.php |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
| რეკომენდაცია III | პროგრამაში ან სადოქტორო დებულებაში მკაფიოდ გაიწეროს საფაკულტეტო დროებით კომისიასთან აპლიკანტის გასაუბრების ფორმატი და სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის რა მიიღება მხედველობაში (მაგ. კანდიდატის კვალიფიკაცია, კანდიდატის პროფესიული გამოცდილება, სამეცნიერო |

| | |
|---|---|
| | კვლევისთვის აუცილებელი უნარ ჩვევები თუ საკუთარი ხედვა გამოცხადებული საკვლევი თემატიკის შესახებ?). |
| აღწერა და შეფასება | რეკომენდაცია შესრულდა.<br><br>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებში მკაფიოდაა გაწერილი საფაკულტეტო დროებით კომისიასთან აპლიკანტის გასაუბრების ფორმატი და სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის კრიტერიუმები მუხლი 7. აგრეთვე ფაკულტეტზე შემუშავდა კომისიასთან გასაუბრების კრიტერიუმები (ბრძანება 31/01/2020 წ №16 – 04/007). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორებ ი | ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა “სატყეო საქმე“<br>➢ კომისიასთან აპლიკანტის გასაუბრების კრიტერიუმები (ბრძანება 31/01/2020 წ №16 – 04/007);<br>➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება, მუხლი 7. https://gtu.ge/Science/PhD_pdf/doqtoranturis_debuleba_2021.pdf |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.3. სასწავლო კურსი** |
| რეკომენდაცია IV | სილაბუსის „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ არ შეესაბამება შინაარს, კურსის სათაური მოვიდეს შესაბამისობაში შინაარსთან, მიზანთან და სწავლის შედეგებთან, უნდა დაზუსტდეს სალექციოთ თემები და წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურა. ამ კურსის სალექციო მე-8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 თემები და სასემინარო თემები ფარავს სასწავლო კურსის „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ მე- 7 , 8. 9 10,11 სალექციო თემებს. |
| აღწერა და შეფასება | რეკომენდაცია შესრულდა.<br><br>აღმოიფხვრილ იქნა თემატური გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებში - „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“. სასწავლო კურსს „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ შეეცვალა დასახელება და გახდა „სწავლების მეთოდები“. დაკორექტირდა სასწავლო კურსის „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის“ სათაური და შინაარსი დაზუსტდა და მოვიდა შესაბამისობაში პროგრამის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან. დაზუსტდა სალექციო თემები და წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურა. აღმოიფხვრილ |

| | |
|---|---|
| | იქნა თემატური გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებში - „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „სწავლების მეთოდები“. კერძოდ სასწავლო კურსის - „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ სალექციო მე-8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 თემები და სასემინარო თემები აღარ ფარავს სასწავლო კურსის „სწავლების მეთოდების“ მე- 7 , 8. 9 10,11 სალექციო თემებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორებ ი | ➢ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები): „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“; „სწავლების მეთოდები“. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.3. სასწავლო კურსი** |
| რეკომენდაცია V | სილაბუსში „ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“ შეფასების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა მოვიდეს შესაბამისობაში, წარმოდგენილ სილაბუსში მიმდინარე აქტივობის შეფასება 30 ქულიანია და ხდება: ა)პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულებისა და ბ) თემატური პროექტის წარდგენის საფუძველზე თითოეული პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით და თემატური პროექტი ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით. შეფასების კრიტერიუმად კი გაწერილია მხოლოდ 3 -3 ქულიანი ტესტები. |
| აღწერა და შეფასება | რეკომენდაცია შესრულდა.<br><br>დაკორექტირდა სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“ შეფასების მეთოდები, ფორმები და კრიტერიუმები.<br><br>შეფასების მეთოდები და შეფასების კრიტერიმები შესაბამისობაშია წარმოდგენილ სილაბუსში მიმდინარე აქტივობის შეფასებასთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორებ ი | ➢ სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“ |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** |

| | |
|---|---|
| კომპონენტის დასახელება | **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
| რეკომენდაცია VI | პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან, წარმოდგენილ დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები" სწავლის შედეგების რეალიზაციის სფეროებში გაწერილია მხოლოდ სასწავლო კომპონენტები (სასწავლო კურსები) და არ სჩანს კვლევითი კომპონენტებით და სემინარებით რა სწავლის შედეგებზე გადის დოქტორანტი. |
| აღწერა და შეფასება | რეკომენდაცია შესრულდა.<br><br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე" - ფორმის ცვლილების საფუძველზე დაემატა დანართი 1 (პროგრამის სწავლის შედეგები), დანართი 2 (პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა). შესაბამისად თვალნათლივ ჩანს სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით რა სწავლის შედეგებზე გადის დოქტორანტი;<br><br>აგრეთვე შემუშავდა ახალი დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი". |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ . დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე" (დანართი 1);<br>➢ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 4). |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| რეკომენდაცია VII | „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები" დოკუმენტში, დანართი 3-ში (გვ,4, პუნქტი 2.4.8.) წერია, რომ დოქტორანტის თითოეული თემატური სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, შუალედური (30 ქულა) და დასკვნითი (70 ქულა), ხოლო დანართ 4-ში გვ, 14 თემატური სემინარის შუალედური და დასკვნითი შეფასებების კრიტერიუმების მაქსიმალური ჯამური ქულაა 20-20, რაც წინააღმდეგობაში მოდის ასევე აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებასთან „3" 2. სადაც წერია, რომ შაულედური შეფასებების მაქსიმალური ქულაა 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის 40 ქულა. |
| აღწერა და შეფასება | თემატური სემინარის სილაბუსი დაკორექტირდა. კერძოდ: შუასემესტრული გამოცდა 30 ქულაა, მინიმალური 15 ქულის მიღების შემთხვევაში დოქტორანტი მიიღებს დასკვნით |

| | |
|---|---|
| | გამოცდაზე გასვლის უფლებას.<br><br>შუალედურ შეფასებას ახდენს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები დოქტორანტის მიერ შესრულებული სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებას სამუშაოს 4 კომპონენტის მიხედვით. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით S = 1.5 x M, სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.<br><br>თემატური სასემინარო ნაშრომის დასკვნითი შეფასებაა 70 ქულაა, მინიმალური 36 ქულა.<br><br>დოქტორანტის ნაშრომს დასკვნით გამოცდაზე აფასებს კომისია, რომელსაც ქმნის დეკანი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის ბრძანებით. კომისიაში შეიძლება შევიდნენ შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, მოწვეული პროფესორები და სხვა დაწესებულების სპეციალისტებიც. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.<br><br>სასემინარო ნაშრომის, მისი საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასებას კომისიის თითოეული წევრი ახდენს 4 კომპონენტის საფუძველზე მაქსიმუმ 20 ქულით). შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით S = 3.5 x M, სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.<br><br>დასკვნითი ქულა განისაზღვრება კომისიის ყველა წევრის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი შემფასებელთა რაოდენობაზე).<br><br>გამოცდის დასრულების შემდეგ ფორმდება თემატური სემინარის პრეზენტაციის ოქმი, |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსები)- თემატური სემინარი სატყეო საქმეში (დანართი 1) |

| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
|---|---|
| კომპონენტის დასახელება | **2.6. სტუდენტების შეფასება** |

| | |
|---|---|
| რეკომენდაცია VIII | უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უნდა გადახედონ სასწავლო კურსების შეფასების ფორმებს, მეთოდებს და კრიტერიუმებს, დაუტოვონ აკადემიური თავისუფლება პედაგოგებს და სტანდარტი 2-ის, 2. 6 შესაბამისად თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები უნდა ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას და არა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთნაირი შეფასების სისტემას; |
| აღწერა და შეფასება | უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შეფასების ფორმებში გაითვალისწინებული აქვთ პროგრამის და სასწავლო კურსების სპეციფიკა და პედაგოგს აქვს სრული კადემიური თავისუფლება თავად აირჩიოს შეფასების ფორმა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ (დანართი 1);<br>➢ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)-დანართი 1 |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
| რეკომენდაცია IX | დოქოტორანტებმა კვლევითი კომპონენტის შესრულება უნდა დაიწყონ პირველივე სემესტრიდან, პროგრამის აღწერაში სასწავლო კომპონენტებისთვის განსაზღვრულია 60 კრედიტი, პირველ სემესტრში გათვალისწინებულია 4 სასწავლო ძირითადი სასწავლო კურსი 20 კრედიტი და თემატური სემინარი 1-ის მომზადება 10 კრედიტი, მეორე სემესტრში გათვალისწინებულია 2 ძირითადი სასწავლო კურსი 15 კრედიტი და თემატური სემინარი 2-ის მომზადება 15 კრედიტი. დოქტორანტი წარმოდგენილი გეგმის მიხედვით კვლევითი კომპონენტის შესრულებას 30 კრედიტი და შესაბამისად ამ კომპონენტის შეფასება გათვალისწინებულია მე-3 სემესტრიდან, მეხუთე და მეექვსე სემესტრი კი ეთმობა სადისერტაციო ნაშრომის მოზადებას და დაცვას 60 კრედიტი, დარგის კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე და კვლევისათვის მონაცემების აღების სეზონურობიდან გამომდინარე 4 სემესტრში რთულია კვლევების დასრულება და დისერტაციის წარდგენა დასაცავად. |
| აღწერა და შეფასება | რეკომენდაცია შესრულდა.<br><br>დოქტორანტები კვლევითი კომპონენტის შესრულებას იწყებენ |

| | |
|---|---|
| | პირველივე წლიდან, როდესაც დოქტორანტის ხელმძღვანელი დოქორანტთან ერთად შეიმუშავებს დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება, მუხლი 8 https://gtu.ge/Science/PhD_pdf/doqtoranturis_debuleba_2021.pdf<br>➢ დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა http://gtu.ge/Learning/pdf/doqtoranturis_danarti_1_2018_1.pdf |

## რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
| რჩევა I | პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში სასურველია ჩაემატოს ‘’ეკოლოგიის, გეოგრაფიის მაგისტრი’’ რადგან ეკოლოგია და გეოგრაფია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მიეკუთვნება და უფრო ახლოს არის თემატურად სატყეო საქმესთან ვიდრე ფიზიკა და ქიმია. |
| აღწერა და შეფასება | რჩევა გათვალისწინებულია.<br>პროგრამაში დაკორექტირდა მიღების წინაპირობა. დაშვების წინაპირობები დაზუსტდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება №69/ნ მიხედვით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა “სატყეო საქმე“;<br>➢ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება №69/ნ. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.3. სასწავლო კურსი** |
| რჩევა II | სასურველია სასწავლო კურსები „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „სწავლების მეთოდები და განათლების |

| | |
|---|---|
| | მენეჯმენტი“ გაერთიანდეს და გამონთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე გაიზარდოს კვლევის კომპონენტი; სასურველია სილაბუსებში წარმოდგენილი იქნას სალექციო თემების მიხედვით კვირეული დატვირთვის საათები, რადგან სილაბუსების კვირეულ დატვირთვაში 15 თემაში არ ჩანს რომელ თემას რამდენი საათი ეთმობა; |
| აღწერა და შეფასება | რჩევა გათვალისწინებულია.<br><br>აღმოფხვრილ იქნა თემატური გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებში - „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „სწავლების მეთოდები“ . სასწავლო კურსის „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის“ სათაური და შინაარსი დაზუსტდა და მოვიდა შესაბამისობაში პროგრამის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან; სასწავლო კურსს „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ შეეცვალა დასახელება და გახდა „სწავლების მეთოდები“. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები) : „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“; „სწავლების მეთოდები“. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| რჩევა III | სასწავლო კურსების სილაბუსებში: „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“, „სამეცნიერო კვლევის მეთოდები სატყეო საქმეში“, სატყეო რესურსების ეფექტური გამოყენება სატყეო ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით,“ „ ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“, „ტყეთმცოდნეობის გავრცობილი კურსი“, გაიწეროს მხოლოდ ის სწავლის მეთოდები, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში. |
| აღწერა და შეფასება | რჩევა გათვალისწინებულია.<br><br>სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დაკორექტირდა სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსი): „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“, „სამეცნიერო კვლევის მეთოდები სატყეო საქმეში“, „სატყეო რესურსების ეფექტური გამოყენება სატყეო ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით“; „ ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“; „ტყეთმცოდნეობის გავრცობილი კურსი“ შეფასების მეთოდები, ფორმები და |

| | |
|---|---|
| | კრიტერიუმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრის „სატყეო საქმე“ სასწავლო კურსები (სილაბუსები): „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“; „სამეცნიერო კვლევის მეთოდები სატყეო საქმეში“; „სატყეო რესურსების ეფექტური გამოყენება სატყეო ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით“ ; „ ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“; „ტყეთმცოდნეობის გავრცობილი კურსი“. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.3. სასწავლო კურსი** |
| რჩევა IV | სილაბუსებში კვირეულ დატვირთვაში წარმოდგენილი სალექციო თემების მიხედვით უნდა მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურა; |
| აღწერა და შეფასება | სილაბუსებში მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ფორმა https://gtu.ge/quality/Forms-And-Recomendations/Forms.php |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** |
| კომპონენტის დასახელება | **3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა** |
| რჩევაV | სასურველია გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია უცხოელ კოლეგებთან სამეცნიერო თანამშრომლობით რაც გამოიხატება დოქტორანტების უცხოელი მეცნიერების თანახელმძღვანელობასა და ერთობლივი სამეცნიერო სტატიებით; |
| აღწერა და შეფასება | რჩევა გათვალისწინებულია<br>სატყეო საქმის მიმართულებით მიმდინარეობს ეფექტური მუშაობა უცხოელ კოლეგებთან ერთად. იმართება ერთობლივი კონფერენციები<br>https://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=10957; https://www.youtube.com/watch?v=ETfzcSwFaqM&feature=youtu.be<br>ხორციელდება ერთობლივი ექსპედიციები და კვლევები: https://gtu.ge/Agro/News/Scientific_relations.php?ELEMENT_ID=110 |

| | |
|---|---|
| | 87<br><br>გამოსაცემად მზადდება ერთობლივი სტატიები „Notes on distribution of Pityogenes calcaratus (Eichh., 1878) (Coleoptera: Curculionidae, Scolytinae) in Georgia (Andrzej Mazur1, Radosław Witkowski2, Nino Lomidze3, Janusz Mendzikowski4- Acta Scientiarum Polonorum.)"<br><br>აკადემიური და მოწვეული პერსონალი ERASMUS+ ფარგლებში აქტიურადაა ჩართული და ტარდება საჯარო ლექციები როგორც უცხოელი პროფესორების მიერ ფაკულტეტზე სატყეო საქმის მიმართულებით, ასევე ქართველი პროფესორების მიერ უცხოეთში (დანართი 10). ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს ევროპის სატყეო ინსტიტუტთან - https://efi.int/ . მიუხედავად მსოფლიოში არსებული პანდემიისა, მიმდინარეობს ონლაინ კონფერენციები სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ დოქტორანტები და აკადემიური პერსონალი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ დანართი 10<br>➢ https://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=10957; https://www.youtube.com/watch?v=ETfzcSwFaqM&feature=youtu.be<br>➢ https://gtu.ge/Agro/News/Scientific_relations.php?ELEMENT_ID=11087. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** |
| კომპონენტის დასახელება | **3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა** |
| რჩევაVI | სასურველია დოქტორანტებმა დისერტაციის დაცვამდე გამოაქვეყნონ მათ საკვლევ თემასთან დაკავშირებული ერთი სტატია მაინც საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებებში. |
| აღწერა და შეფასება | რჩევა გათვალისწინებულია.<br><br>დოქტორანტი ვალდებულია ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენამდე, წარმოადგინოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტის სწავლის პერიოდში, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები (სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს თანაავტორების გარეშე). ერთ-ერთი ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ იგი |

| | |
|---|---|
| | გადაცემულია უცხოურ მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად /რეფერირებად გამოცემაში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიღებულია დადებითი დასკვნა და წარმოდგენილია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია; აგრეთვე, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება); გამოგონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია, დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ; (29.04.2020 ა.ს დადგენილება 01-05-04/75) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება მუხლი 10, პუნქტი 10.11 (გვ.10) https://gtu.ge/Science/PhD_pdf/doqtoranturis_debuleba_2021.pdf |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **4. ს წავლების რესურსებით უზრუნველყოფა** |
| კომპონენტის დასახელება | **4.3 მატერიალური რესურსი** |
| რჩევაVII | არ იყო წარმოდგენილი ამ პროგრამის განხორციელებისთვის არსებული მატერიალურ- ტექნიკური ბაზის შესახებ დოკუმენტაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი შეეხებოდა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და არ არის რელევანტური „სატყეო საქმის„ არც სადოქტორ და არც სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის ( მაგ. ცხვრის საკრეჭი, რძის სეპარატორი, რძის ანალიზის ცენტრიფუგა და ა. შ.) |
| აღწერა და შეფასება | რჩევა შესრულებულია.<br>მატერიალურ- ტექნიკური ბაზა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** |

| | |
|---|---|
| კომპონენტის დასახელება | **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
| რჩევაVIII | სწავლის შედეგების რუკაში დაზუსტდეს სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსებთან; |
| აღწერა და შეფასება | რჩევა შესრულებულია.<br>სწავლის შედეგების რუკაში დაზუსტდა სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდა სასწავლო კურსებთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე" (დანართი 1)<br>➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრის „სატყეო საქმე" სასწავლო კურსები (სილაბუსები)- დანართი 1<br>➢ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 4) |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** |
| კომპონენტის დასახელება | **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
| რჩევა IX | პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი) უნდა გაიმიჯნოს და ცალ-ცალკე გაიწეროს თუ რა ზოგად და დარგობრივ სწავლის შედეგებზე გადის სტუდენტი; |
| აღწერა და შეფასება | რჩევა შესრულებულია.<br>პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები გაიმიჯნულია და ცალ-ცალკეა გაწერილი თუ რა სწავლის შედეგებზე გადის სტუდენტი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე" (დანართი 1);<br>➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე" სასწავლო კურსები (სილაბუსები)- დანართი 1;<br>➢ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 4). |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| რჩევა X | წარმოდგენილ დოკუმენტში დოქტორანტურის დებულება, დანართი 3 „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის და მათი |

| | |
|---|---|
| | შეფასების წესი“ საჭიროა მკაფიოდ გაიწეროს დოქტორანტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები.<br><br>პროგრამაში და თანდართულ დოკუმენტებში აღინიშნება მრავლობითი ტექნიკური შეცდომები, სასურველია გადაიხედოს ეს დოკუმენტები და ჩასწორდეს შეცდომები. |
| აღწერა და შეფასება | ზემოაღნიშნული საკითხი დაწვრილებითაა განხილული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ➢ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია, მუხლი 8 https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_proc_mrt_inst_260221_SD.pdf |

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ მიზანია სატყეო სექტორისათვის ფართო ცოდნის სპეციალისტების მომზადება, რომელთა ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღწერით გათვალისწინებულ დოქტორანტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რაც ეფუძნება ინოვაციურ და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასა და პრაქტიკას.<br><br>პროგრამის მიზნები შეესაბამება სტუ-ის და აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. ისინი აგრეთვე შესაბამისობაშია სატყეო დარგის სპეციალისტებზე შიდა ბაზარზე გაზრდილ მოთხოვნებთან, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2020 წლის მაისში ახალი ტყის კოდექსის მიღებით, რომელიც ტყის მართვაში მონაწილეობას მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებს აძლევს უფლებას.<br><br>პროგრამის მიზანია მომზადდეს სპეციალისტი, რომელსაც ექნება ტყის ეკოსისტემების შეფასების უნარი მათზე მოქმედი სხვადასხვა ბიოეკოლოგიური და ანთროპოგენული ფაქტორების სპექტრში, რაც მომავალ სპეციალისტს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად გამოავლინოს დარგში არსებული პრობლემები და დასახოს მათი გადაწყვეტის როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული მართვის ღონისძიებები. ამასთანავე შეძლოს შეისწავლოს გლობალური პროცესებით, როგორიცაა მაგალითად გლობალური კლიმატის ცვლილება, გამოწვეული ცვლილებები და შეიმუშაოს ამის შედეგად მიმდინარე ტყეების დეგრადაციის შესაჩერებლად შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნულის ეფექტურად განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პროგრამის საერთაშორისო სამეცნიერო ინსტიტუტებთან ინტერნაციონალიზაციით და თანამშრომლობით, რომელი მიდგომაც ნათლად არის ასახული პროგრამაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.<br><br>➢ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“.<br>➢ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება;<br>➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია http://gtu.ge/AboutStu/Mission.php ;<br>➢ აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის |

| |
|---|
| დებულება<br>➢ https://gtu.ge/Agro/pdf/agros_debuleba_2018.pdf;<br>➢ დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;<br>➢ პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;<br>➢ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.pdf<br>➢ აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• უპირატესობა მიეცეს გამოყენებითი მეცნიერების მიმართულების კვლევებს |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოქტორანტურის საფეხურის სწავლის შედეგებს.

- აანალიზებს სამეცნიერო კომუნიკაციის და სამეცნიერო საქმიანობის რთულ იდეებსა და მიდგომებს. ახდენს ახალი მეთოდოლოგიის, ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენას. შეძლებს პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას.
- ახორციელებს თანამედროვე სწავლის მეთოდების და ტექნოლოგიების გამოიყენებას სატყეო განათლების სფეროში, თავისუფალ კომუნიკაციას პროფესიული საქმიანობის ამოცანების გადაწყვეტაში, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას.
- დამოუკიდებლად ახორციელებს სატყეო სფეროში საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ მეცნიერულ და ინოვაციურ კვლევის მეთოდებს; ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს პრობლემის გადაჭრისათვის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.
- პროგნოზირებს სატყეო სექტორის მდგომარეობას, მის შემდგომ განვითარებას, ამზადებს წინადადებებს სატყეო სტრატეგიის სრულყოფის შესახებ; შეიმუშავებს რეკომენდაციებს სატყეო სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად;
- ახდენს ტყის ეკოსისტემების კლასიფიცირებას კატეგორიებისა და დანიშნულების მიხედვით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ტყის რესურსების მუდმივ და უწყვეტ სარგებლობასთან დაკავშირებით და მათი მდგრადი მართვის შესახებ.
- კრიტიკულად აანალიზებს სატყეო საქმის მდგომარეობას ქვეყნისა და რეგიონის დონეზე; დამოუკიდებლად ამზადებს რეკომენდაციებს ტყის ეკოსისტემების დაცვის, სატყეო რესურსების რაციონალური გამოყენების, კვლავწარმოების, ტყის მართვის პრობლემების სისტემური და კომპლექსური გადაწყვეტისათვის და შეიმუშავებს წინადადებებს სატყეო სფეროს ეფექტური და მდგრადი მართვისათვის ქვეყნისა და რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- აფასებს სატყეო-სამეურნეო საქმიანობისა და სატყეო პროცესებში წარმოქმნილ ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებს, მიდგომების კრიტიკულ ანალიზსა და სინთეზს. შეუძლია პრობლემების გადასაჭრელად სწორი, ეფექტური დასკვნებისა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება; შეუძლია საპროექტო წინადადების, ახალი იდეების, არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბება;
- დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს ტყის დაცვაში, მოვლასა და კვლავწარმოებაში, ასევე - დეგრადირებულ, დაბალი სიხშირისა და დაბალპროდუქტიული კორომების - რეკონსტრუქციასა და აღდგენისათვის მაღალეფექტურ სატყეო-სამეურნეო ინოვაციურ ღონისძიებებს.
- იზიარებს და იცავს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს, დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს სატყეო დარგში არსებულ ცოდნასთან

ურთიერთკავშირში მყოფ ახალ ხედვებს, სტრატეგიებსა და კონცეფციებს.
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.
პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების (პირდაპირი) შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს.
სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს: პროგრამის სწავლის შედეგების და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილს, რაც ცალსახად განსაზღვრავს, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი არის გაზომვადი და ნათელყოფს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის რეალისტურ გზებს, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას - რომელიც ასახავს რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისი პერიოდულობით.
ამავდროულად თითოეულ სილაბუსში გაწერილია სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის შესაბამისი შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაციის მიზნით, გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას.
პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებული თითოეული საკითხის შეთანხმება და გადაწყვეტა ხორციელდება დეპარტამენტის/ფაკულტეტის საბჭოს და აკადემიური საბჭოს მიერ. სასწავლო პროცესის და პროგრამის სწავლების ხარისხის პერიოდულ შეფასებას ახორციელებს ასევე სტუ-ს აკადემიური პერსონალისაგან შექმნილი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია.
ფაკულტეტზე შემუშავებულია სპეციალური კითხვარები, რომელთა საშუალებითაც ხდება სტუდენტების, კურდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვა.
საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით მუდმივად ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვა და ეწყობა ჯგუფური შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად. სტუდენტებთან ერთად განიხილავენ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებს. ისმენენ სტუდენტების მოსაზრებებს და შეხედულებებს და შესაბამისად იგეგმება გარკვეული ცვლილებების ინიცირება, რათა პროგრამა მაქსიმალურად გახდეს სტუდენტების საჭიროებებზე ორიენტირებული.
აღნიშნულიდან გამომდინარე სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივი განვითარების პროცესში.

**დამსაქმებლების ჩართულობა:**

ვინაიდან დამსაქმებელთა წინადადებები და რეკომენდაციები, საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია, მათი ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში ინტენსიურად ხორციელდება. ფაქტობრივად მათი ინტერესების და საჭიროებების ანალიზი კარნახობს პროგრამას შრომის ბაზრის მოთხოვნის ტენდენციებს და მათი გათვალისწინება პროგრამის შემუშავება/განვითარების პროცესში კურსდამთავრებულთა მაღალკონკურენტუნარიანობის წინაპირობაა; შესაბამისად ფაკულტეტზე შემუშავებულია დამსაქმებლებთან ურთიერთობის სხვადასხვა მექანიზმები:
პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რომ ფაკულტეტზე ხორციელდება დამსაქმებელთა და დარგის სპეციალისტთა შეხვედრები, შეხვედრის ძირითადი მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა, ასევე ხდება დამსაქმებელთა ინიციატივების და მოთხოვნების შეჯამება და იგეგმება შესაბამისი პროგრამული ცვლილებები. მათი მოსაზრებები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული და ასახული პროგრამაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება;
- პროგრამის სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“.
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2020_2021/I/B/info ;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების არსებული კვლევების ანალიზი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

| |
|---|
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>არ არის |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის კვალიფიკაციას ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს- „მეტყევეობა"; „მემცენარეობა და მეცხოველეობა"; „მებაღეობა"; „გარემოს დაცვის ტექნოლოგია"; „ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება"; „გარემოსმცოდნეობა" „ბიოლოგია"). მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).<br><br>პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება, ასევე - ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი. ზემოხსენებული სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტი გამოცდას ჩააბარებს სტუ-ს საგამოცდო ცენტრში, ინგლისურ ენაში. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისურენოვანი (ბაკალავრიატი ან/და მაგისტრატურა) პროგრამა გამოცდის ჩაბარება და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება.<br><br>დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.<br>დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები, ასევე საგამოცდო ტესტების ნიმუშები უცხო ენებში მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.<br>https://gtu.ge/Science/Doctorate_Department.php<br><br>პროგრამაში მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურების და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.<br><br>პროგრამაში ჩარიცხვა ან გადმოყვანა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.<br>გარე მობილობა<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" შესაბამისად. |

შიდა მობილობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც.

უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე, ასევე ფაკულტეტის ვებგვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და ნებისმიერი საკითხის კონსულტაცია, როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება" – http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია

- http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/studentta_kont_form_130219_SD.pdf
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gtu.ge/ .
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

| |
|---|
| პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებული და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, რომელიც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის |

განსაზღვრავს პროგრამის შედგენის/განვითარების მეთოდოლოგიას. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და მათ შორის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, რომელიც ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესებში, ასევე საფაკულტეტო კომისიები, აქტიურად ხელმძღვანელობენ აღნიშნული წესის შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს; მასში იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი საათები. კრედიტების განაწილება მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი). სასწავლო კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად. სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით მომზადებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ-გვერდზე: https://gtu.gr/Orders/.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php

საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული რედაქცია შემუშავდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" №69/ნ ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი დეტალური სფეროს აღწერის სრული გათვალისწინებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. 0821.1.1 სატყეო საქმე Forestry დეტალური სფეროს მიხედვით მიეკუთვნება - 0821 მეტყევეობას Forestry - შეისწავლის ტყის გაშენებას, კულტივირებას, მოვლასა და მართვას, ასევე ნადირობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე";

- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი";
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ".
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- გამოკითხვის შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები ქრონოლოგიურად ვითარდება. დისციპლინების შესწავლა მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო საგნის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს.

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება დოქტორანტურის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სატყეო სფეროს აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პერმანენტულად ახორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

- ➢ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
- ➢ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- ➢ გამოკითხვის შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

| ტრანსფერული უნარების განვითარება |
| --- |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსი პროფესორის ასისტენტობა შინაარსობრივად მოიცავს პრაქტიკული უნარების განვითარებას პედაგოგიური საქმიანობის კუთხით. გარდა ამისა, დოქტორანტი დებულების თანახმად ამზადებს სამეცნიერო სტატიებს და სამეცნიერო კონფერენციასა თუ სემინარზე მონაწილეობს და მოხსენებით წარდგება.<br><br>უნივერსიტეტი დოქტორანტებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი კურირებას უწევს სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას და პუბლიკაციების მომზადებაში მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში გამოსაცემად. სტუდენტების მიერ გამოქვეყნებულია 15 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შედეგები წარმოდგენილ იქნა კონფერენციებსა და სამეცნიერო სტატიებში.<br><br>დოქტორანტები იღებენ თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისგან.<br><br>უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს უზრუნველყოფს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს. შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები, სოციალური დახმარება, დასვენების სერვისები და სხვა მათთვის საჭირო ინფორმაცია).<br><br>ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ფაკულტეტზე ტარდება დარგობრივი სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც. უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაში.<br><br>ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს შეეძლოთ მიღებული ცოდნის უშუალოდ ველზე პრაქტიკული გამოცდა, რისთვისაც სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობა, განსაკუთრებით უშუალოდ პოტენციურ დამსაქმებლებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
- კონფერენციების მასალები, სამეცნიერო სტატიები;
- სამეცნიერო კონფერენციები https://gtu.ge/Science/Conference/
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სწავლების პრაქტიკული ნაწილის გაძლიერება

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის თითეულის სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარს და უზრუნველყობს სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):
დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; შემთხვევების შესწავლა (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); დემონსტრირების მეთოდი; ინდუქციური მეთოდი; დედუქციური მეთოდი; ანალიზის მეთოდი; სინთეზის მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ევრისტიკული მეთოდი; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სწავლის მეთოდების შესაბამისობის საკითხზე გამოიკითხნენ სტუდენტები. შედეგების მიხედვით, განსაკუთრებული პრობლემა არ გამოიკვეთა, - რესპოდენტების უმეტესი ნაწილი თვლის, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია სასწავლო კურსების თემატიკასთან და შეფასების მეთოდებიც სწორადაა შერჩეული. თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე";
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/pdf/sc.pdf;
- გამოკითხვის შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სწავლების მეთოდებში დაემატოს სიმულაციური მეთოდი, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად საკმაოდ ეფექტურად ინერგება ევროპის საგანმანათლებლო ინსტიტუციებში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ".

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ელექტრონულ უწყისს აქვს შეტყობინების ფუნქციაც, რომლის გამოყენებითაც სტუდენტს აქვს საშუალება სასწავლო კურსის პროფესორთან უშუალოდ დაამყაროს კავშირი და მიიღოს რჩევები მისი ნაკლოვანებების გაუმჯობესების გზების შესახებ; სტუდენტი ინფორმირებულია სტუ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ.

სტუ-ში სტუდენტს აქვს სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების უფლება. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას, უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. საჩივარს განიხილავს და შესაბამის დასკვნას შეიმუშავებს დეკანის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია. დასკვნის საფუძველზე, დეკანი იღებს გადაწყვეტილებას ან უზრუნველოფს საკითხის ფაკულტეტის საბჭოზე განხილვას.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ახორციელებს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ანალიზს, არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებენ სათანადო რეკომენდაციებს პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია: https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.
სასწავლო კომპონენტის შეფასება:
დადებითი შეფასებებია:
(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
(C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
(D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
(E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულა ვერ აკმაყოფილებს.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:
https://gtu.ge/quality/Files/Pdf/sasc%20procesis%20instruqc.pdf

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე";
- სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები);
- სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია" https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები

http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება: https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
- დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა: https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
- სტუ-ის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge/2019_2020/I/B/info
- სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების წესი https://gtu.ge/News/13613/
- სტუ-ში პლაგიატზე შემოწმების წესი;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სრულად მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის თაობაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზებზე, დასაქმებისა და კარიერულ განვითარების შესაძლებლობებზე. ამ ინფორმაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია საჯაროა, ხელმისაწვდომია და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტს ასევე შეუძლია მიიღოს შესაბამისი საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან, ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალისაგან.<br><br>სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ დოტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატყეო საქმე“, სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებების, კონფერენციების შესახებ და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათში, ასევე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, თუმცა სტუდენტები მობილობას ფაქტობრივად არ იყენებენ. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გამოკრულია სტენდებზე და |

სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

ფაკულტეტი ყოველი სემესტრის დასაწყისში ადგენს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგს, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს მიიღოს ინფორმაცია მისთვის საჭირო საკითხზე. აღნიშნული კონსულტაცია შესაძლებელია ელექტრონულადაც. სტუდენტებისათვის კიდევ უფრო მოსახერხებელი იქნება თუ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული იქნება შესაბამის პირთა საკონტაქტო მონაცემები (მობილური, ელექტრონული ფოსტის მისამართი) და 2020-2021 სასწავლო წლის II სემესტრის კონსულტაციების განრიგი.

გასაუბრების პროცესში დადგინდა, რომ პროფესიის სპეციფიკურობიდან და ბაზარზე მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, ყველა სტუდენტი დასაქმებულია. ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ ისინი იღებენ პროგრამის ხელმძღვანელისა და სხვა აკადემიური პერსონალისაგან, რომლებიც რეკომენდაციებსაც უწერენ დოქტორანტებს დამსაქმებლებთან წარსადგენად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სტუ-ს აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება;
- სტუ-ს ვებ-გვერდი;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ვებ-გვერდი;
- „სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“;
- „სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;
- სტუ-სა და სხვადასხვა უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის შეთანხმებები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
| ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
